შპს „თითი ედვაიზორი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 29 მარტიდან (დაარსების თარიღი) 2023 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2-4

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 5
მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია 9
2. მომზადების საფუძველი 9
3. საოპერაციო გარემო 9
4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 10
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები 13
6. ამონაგები 14
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 14
8. ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში 14
9. საკუთარი კაპიტალი 14
10. პირობითი ვალდებულებები 15
11. ფინანსური რისკის მართვა 15
12. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 18
13. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება 18
14. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები 19

შპს „იუ ეიჩ ვაი“
47, კოსტავას ქუჩა
თბილისი, 0179,
საქართველო

ინტერნეტი www.uhy.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „თითი ედვაიზორი“-ს მფლობელს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „თითი ედვაიზორი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს 2023 წლის 29 მარტიდან (რეგისტრაციის თარიღი) 2023 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისათვის და განმარტებით შენიშვნებს, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2023 წლის 29 მარტიდან (რეგისტრაციის თარიღი) 2023 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა ხსენებული სტანდარტების საფუძველზე აღწერილია ჩვენი დასკვნის სექციაში *აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე.* ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები “ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს” (IESBA) “პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო კოდექსის” (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და საქართველოში ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის რელევანტურ ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად, და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს.

მნიშვნელოვანი გარემოება - ეროვნული ბანკის ზედამხედველობისა და რეგულირების ნორმატივის შესაბამისობა

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-9 შენიშვნაზე - შესაბამისობა ეროვნული ბანკის რეგულაციის მოთხოვნებთან, სადაც აღწერილია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის N145/04 ბრძანებით დამტკიცებული „საბროკერო კომპანიის ლიცენზირებისა და რეგულირების წესის“ მე-8 მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტებით განსაზღვრულ საკუთარი კაპიტალის მოთხოვნასთან შეუსაბამობისა და მისი შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ეროვნული ბანკის მიერ კომპანიისათვის მიცემულ ვადასთან დაკავშირებული საკითხი. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარდგენაზე, ფასს-ების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ, და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებებისა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენს მიზანს წარმოადგენს, გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე არის თუ არა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ ასს-ს საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებული არსებითი უზუსტობების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და მიიჩნევა არსებითად, თუ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება ამ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე, ჩვენ:

— ვახდენთ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმის უზრუნველსაყოფად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;

— ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად;

— ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას;

— გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებებში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენ ვალდებული ვართ აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებულ შესაბამის განმარტებაზე, ან თუ ამგვარი განმარტება არაადეკვატური იქნება, მოდიფიცირება გავუკეთოთ ჩვენს მოსაზრებას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ;

— ვაფასებთ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ინდივიდუალური ფინანასური ანგარიშგება ძირითად ოპერაციებს და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიანად წარდგენა;

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:

ვახტანგ ნამორაძე

შპს „იუ ეიჩ ვაი“

თბილისი, საქართველო

2024 წლის 25 აპრილი

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:

ვახტანგ ნამორაძე

შპს „იუ ეიჩ ვაი“

თბილისი, საქართველო

2024 წლის 25 აპრილი

	შენიშვნა	**31 დეკემბერი 2023**
აქტივები		
ძირითადი საშუალებები		1,892
სულ გრძელვადიანი აქტივები		**1,892**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	240,391
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში	8	147,914
სულ მიმდინარე აქტივები		**388,305**
სულ აქტივები		**390,197**
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი		343,794
დაგროვილი ზარალი		(145,836)
სულ საკუთარი კაპიტალი	9	**197,958**
ვალდებულებები		
გადასახდელი ხელფასები		69,727
სხვა ვალდებულებები		62,396
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა		60,116
მიმდინარე ვალდებულებები		**192,239**
სულ ვალდებულებები		**192,239**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		**390,197**

9-19 გვერდებზე წარმოადგენილი შენიშვნები მოცემული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

	შენიშვნა	**29 მარტი 2023 (დაარსების თარიღი) – 31 დეკემბერი 2023**
ამონაგები	6	954,599
სულ საოპერაციო ამონაგები		**954,599**
დასაქმებულთა გასამრჯელოები		(865,480)
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი		(119,957)
საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურებები		(63,640)
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა		(7,339)
იჯარის ხარჯი		(6,538)
მოსაკრებლის ხარჯები		(5,000)
სხვა ხარჯები		(14,541)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		**(127,896)**
საპროცენტო შემოსავალი	8	5,507
წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან		(23,447)
პერიოდის ზარალი		**(145,836)**
სხვა სრული შემოსავალი		**-**
პერიოდის ზარალი და სხვა სრული შემოსავალი		**(145,836)**

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 25 აპრილს.



9-19 გვერდებზე წარმოადგენილი შენიშვნები მოცემული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

	შენიშვნა	**29 მარტი 2023 (დაარსების თარიღი) – 31 დეკემბერი 2023**
ამონაგები	6	954,599
სულ საოპერაციო ამონაგები		**954,599**
დასაქმებულთა გასამრჯელოები		(865,480)
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი		(119,957)
საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურებები		(63,640)
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა		(7,339)
იჯარის ხარჯი		(6,538)
მოსაკრებლის ხარჯები		(5,000)
სხვა ხარჯები		(14,541)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		**(127,896)**
საპროცენტო შემოსავალი	8	5,507
წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან		(23,447)
პერიოდის ზარალი		**(145,836)**
სხვა სრული შემოსავალი		**-**
პერიოდის ზარალი და სხვა სრული შემოსავალი		**(145,836)**

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 25 აპრილს.

დირექტორი

ლილია ელბაქიძე

9-19 გვერდებზე წარმოადგენილი შენიშვნები მოცემული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 29 მარტის მდგომარეობით (დაარსების თარიღი)		-	-	**-**
წლის ზარალი და სხვა სრული შემოსავალი				
წლის ზარალი		-	(145,836)	**(145,836)**
ოპერაციები კომპანიის მფლობელთან				
საწესდებო კაპიტალის ზრდა		343,794	-	**343,794**
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9	**343,794**	**(145,836)**	**197,958**

9-19 გვერდებზე წარმოადგენილი შენიშვნები მოცემული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

	შენიშვნა	**2023 წლის 29 მარტიდან (დაარსების თარიღი) 2023 წლის 31 დეკემბრამდე**
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის ზარალი		(145,836)
კორექტირებები:		
საპროცენტო შემოსავალი	8	(5,507)
წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან		23,447
		(127,896)
ცვლილებები:		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		(240,391)
გადასახდელი ხელფასები		49,414
სხვა ვალდებულებები		59,323
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა		60,116
ფულადი ნაკადები ოპერაციებიდან მოგების გადასახადის გადახდამდე		**(199,434)**
გადახდილი მოგების გადასახადი		-
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(199,434)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა		(1,892)
მიღებული პროცენტი		5,507
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		**3,615**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
შემოსავალი კაპიტალის გაზრდიდან	9	343,794
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		**343,794**
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		**147,975**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 29 მარტის მდგომარეობით		-
ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი		(61)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით	8	**147,914**

9-19 გვერდებზე წარმოადგენილი შენიშვნები მოცემული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „თითი ედვაიზორი" (შემდეგში „კომპანია")დაარსდა 2023 წლის 29 მარტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართი არის: საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაკის რაიონი, ი.ჭავჭავაძის გამზირი, N 49ბ.

კომპანია ეწევა საბროკერო საქმიანობას, საქართველოს კანონის ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ 23-ე მუხლის „ა"-„დ" პუნქტებით განსაზღვრული შეზღუდვების გათვალისწინებით.

„სებ"-ის - „N2-19/4849" გადაწყვეტილებით 2023 წლის 29 დეკემბრიდან 2024 წლის 12 აპრილამდე კომპანიას, „საბროკერო კომპანიის ლიცენზირებისა და რეგულირების წესის" შეუსაბამობის გამო („სებ" ის მიერ განსაზღვრული კაპიტალის მინიმალური ოდენობა შეადგენს არანაკლებ 150 000 ლარს), შეჩერებული ჰქონდა საბროკერო საქმიანობის ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობა (მე-9 შენიშვნა).

2023 წლის 31 დეკემბრის და 29 მარტის (დაარსების თარიღი) მდგომარეობით კომპანიის 100%-ის მფლობელია კონსტანტინე ოსიპოვი. კომპანიის დაკავშირებული მხარეების ოპერაციები წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 12-ში.

2. მომზადების საფუძველი

განცხადება შესაბამისობაზე

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება („ფინანსური ანგარიშგება") მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") შესაბამისად.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და დაკმაყოფილდა იმით, რომ მას გააჩნია რესურსები საქმიანობის გასაგრძელებლად. უფრო მეტიც ხელმძღვანელობისთვის უცნობია რაიმე მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ან ეჭვი დაბადოს კომპანიის მიერ საქმიანობის გაგრძელების უნართან დაკავშირებით, შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

3. საოპერაციო გარემო

კომპანიის საქმიანობა კონცენტრირებულია საქართველოში. საქართველოს განვითარებად ბაზარს არ აქვს კარგად განვითარებული ბიზნესის ინფრასტრუქტურა და ნორმატიული ბაზა, როგორც უფრო განვითარებულ საბაზრო ეკონომიკებს ახასიათებთ. საქართველოში ოპერაციები შესაძლოა მოიცავდეს რისკებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, არ არსებობს განვითარებულ ბაზრებზე, მათ შორის რისკს, რომ ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, არსებობს ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობის რისკები, ხოლო სასესხო და კაპიტალის ბაზრები არ არის სათანადოდ განვითარებული.

თუმცა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საბანკო, სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი სისტემების ჩამოყალიბებისათვის საჭირო რეფორმების სახით, რაც დადებითად აისახება ზოგად საინვესტიციო კლიმატზე. ამ რეფორმებს შორის არის ახალი კანონმდებლობის მიღება, ახალი საგადასახადო კოდექსისა და საპროცესო კანონების ჩათვლით. ხელმძღვანელობის აზრით, აღნიშნული ნაბიჯები ამცირებს ბიზნესისწარმოების რისკებს საქართველოში.

მოსალოდნელია ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისკენ მიმართული არსებული ტენდენციის გაგრძელება. ქართული ეკონომიკის მომავალი სტაბილურობა დიდწილად არის დამოკიდებული ამ რეფორმებზე და იმაზე, თუ ქვეყნის ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები რამდენად იქნება ეფექტური ეკონომიკური, ფინანსური და ფულადი–საკრედიტო პოლიტიკის განვითარებისათვის.

ამის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკაზე გავლენას ახდენს საბაზრო კრიზისი და ეკონომიკური განვითარების შეფერხება განვითარებულ ქვეყნებში. საქართველოს რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ერთ წელიწადში 8,3%–ით გაიზარდა 2023 წლის დეკემბერში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის („საქსტატი") მიერ 2024 წლის 31 იანვარს გამოცემული სწრაფი შეფასების მიხედვით.

3. საოპერაციო გარემო (გაგრძელება)

ზრდა დაფიქსირდა მშენებლობის, წარმოების, ფინანსურ და სადაზღვევო, ასევე საინფორმაციო და საკომუნიკაციო საქმიანობებში. ამასთან, წინა წელთან შედარებით მოსალოდნელმა რეალურმა მშპ–ის ზრდამ 2023 წელს 7% შეადგინა. „საქსტატის" მონაცემებით, 2023 წლის დეკემბერში წლიურმა ინფლაციის დონემ 0,4% შეადგინა.

ომი უკრაინაში

უკრაინაში ომის შედეგად ბევრმა ქვეყანამ კონკრეტულ რუსულ საწარმოებს და ფიზიკურ პირებს დაუწესა და უწესებს ახალ სანქციებს. სანქციები ასევე დაუწესდა ბელარუსსაც. შექმნილ ვითარებას, საქონლის ფასების და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების პოტენციურ მერყეობასთან, იმპორტ–ექსპორტის შეზღუდვასთან, ადგილობრივი მასალების და მომსახურებების ხელმისაწვდომობასა და ადგილობრივ რესურსებზე წვდომასთან ერთად პირდაპირი გავლენა ექნება საწარმოებზე, რომლებიც აწარმოებენ ოპერაციებს ან კონტაქტი აქვთ რუსეთთან, ბელარუსთან ან უკრაინასთან. ომს და მის პირდაპირ და არაპირდაპირ შედეგებს შესაძლოა გავლენა ჰქონდეს სხვა საწარმოებზე, რომლებსაც პირდაპირი ინტერესები არ გააჩნიათ ამ ქვეყნებში, მაგალითად, სამომხმარებლო ფასების და უცხოური ვალუტის გაცვლით კურსის მერყეობაზე დაქვემდებარების, ასევე გაჭიანურებული ეკონომიკური ვარდნის შესაძლებლობის შედეგად. ვინაიდან ომი ჯერაც მიმდინარეობს და ხდება ახალი სანქციების დაწესება, შეუძლებელია იმის სარწმუნოდ შეფასება, თუ როგორ აისახება ეს კომპანიის საქმიანობაზე, ასევე გაურკვეველია, რა მასშტაბის გავლენას მოახდენს ის ზოგადად ეკონომიკაზე. კომპანიის ხელმძღვანელობა თვალს ადევნებს ეკონომიკურ ვითარებას შექმნილ გარემოში.

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები

კომპანიამ პირველად გამოიყენა კონკრეტული სტანდარტები და ცვლილებები, რომლებიც ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს და ამ თარიღის შემდეგ დაწყებული ყოველწლიური პერიოდებისთვის. კომპანიის ვადაზე ადრე არ მიუღია რომელიმე სხვა სტანდარტი, ინტერპრეტაცია ან ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ძალაში არ არის შესული.

შემდეგი ცვლილებები და ინტერპრეტაციები პირველად იქნა გამოყენებული 2023 წელს:

- *ფასს (IFRS) 17 – სადაზღვევო ხელშეკრულებები;*
- *სააღრიცხვო შეფასების განმარტება – ბასს (IAS) 8–ის ცვლილება;*
- *სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნა – ბასს (IAS) 1–ის ცვლილება და განცხადება 2 ფასს–ების გამოყენების პრაქტიკის შესახებ;*
- *ერთი გარიგებიდან წარმომდგარ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი – ბასს (IAS) 12–ის ცვლილება;*
- *საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა – პილარ 2–ის სანიმუშო წესები – ბასს (IAS) 12–ის ცვლილება.*

ფასს სტანდარტის „სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნა"ცვლილების თანახმად, ბასს (IAS) 1–ის და ფასს პრაქტიკის განცხადება 2–ის ცვლილება, რომელიც ძალაში შევიდა 2023 წლის 1 იანვარს, კომპანიამ შეცვალა თავის სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნა.

შეცვლილი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია მიმართულია იმაზე, თუ როგორ იყენებს კომპანია ფასს სტანდარტების მოთხოვნებს თავის საკუთარ საქმეებთან მიმართებით და ის მოიცავს მრავალ საკითხს, რომლებშიც კომპანია ირჩევს სააღრიცხვო პოლიტიკას ფასს სტანდარტებით დაშვებული ერთი ან მეტი ვარიანტიდან, ერთეულებიდან, რომლებიც მნიშვნელოვან განსჯას ან შეფასებას ექვემდებარება და გამორიცხავს ინფორმაციას, რომელიც მხოლოდ ფასს სტანდარტების მოთხოვნებს აორმაგებს ან აჯამებს, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკას არამატერიალური საკითხების შესახებ.

სხვა ცვლილებები და ინტერპრეტაციები პირველად იქნა გამოყენებული 2023 წელს, თუმცა მათ არ ჰქონია გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ახალი და გადასინჯული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

ქვემოთ განსაზღვრულია ახალი და გადასინჯული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც უკვე გამოიცა, მაგრამ ძალაში არ არის შესული კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის. კომპანია ამ ახალი და გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას გეგმავს მათი ძალაში შესვლისთანავე.

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ახალი და გადასინჯული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

- *ფასს (IFRS) 16–ის ცვლილება: საიჯარო ვალდებულება გაყიდვასა და უკუიჯარაში (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან და ამ თარიღის შემდგომ პერიოდებში).*
- *ბასს (IAS) 1–ის ცვლილება: ვალდებულებების მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიცირება (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან).*
- *მიმწოდებლის ფინანსური გარიგებები – ბასს (IAS) 7–ის და ფასს (IFRS) 7–ის ცვლილებები (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან და ამ თარიღის შემდგომ პერიოდებში)*

ამ მომენტისთვის კომპანია აფასებს გადასინჯული სტანდარტების და ცვლილებების გავლენას, მაგრამ არ მოელის, რომ მათ არსებითი გავლენა ექნება მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფინანსური აქტივები

ფასს (IFRS) 9–ის ფარგლებში, საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში („FVOCI“) და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით („FVPL“).

კომპანია არ ფლობს სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებულ ფინანსურ აქტივებს. კომპანია ფინანსური აქტივები შესულია მიმდინარე აქტივებში.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდგომ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობა და ზარალი მოგება–ზარალში აღიარდება მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც FVPL ასახვით შეფასებული:

– აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
– მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები კლასიფიცირდება ისევე, როგორც აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური აქტივები - შემდგომი შეფასება და შემოსულობები ან ზარალები.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები	აღნიშნული ფინანსური აქტივები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ამორტიზებული ღირებულება შემცირებულია გაუფასურების ზარალით. საპროცენტო შემოსავალი, საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა და ზარალი და გაუფასურება აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარებდა მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება

კომპანია აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეყრდნობა სხვაობას ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და კომპანიის ყველა მოსალოდნელ ფულად ნაკადს შორის, და დისკონტირებულია თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან მიახლოებული განაკვეთით.

სავაჭრო მოთხოვნებისთვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის.

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია ყველა ფინანსური ვალდებულება ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება.

პირობითი ვალდებულებები და აქტივები

პირობითი ვალდებულებების აღიარება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ ხდება, თუ არ არსებობს ვალდებულებების დასაფარი რესურსების გადინების საფუძველი, რომელიც შეიძლება სარწმუნოდ შეფასდეს. პირობითი აქტივების აღიარება არ ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა ხდება მათი გაცხადება, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება.

დაბეგვრა

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი დაირიცხება იმ აქციონერებზე დივიდენდებად განაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები არიან საქართველოში. გადასახადი დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც მოხდება დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო ვალდებულებებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. კომპანიებს უფლება აქვთ, ჩაითვალონ 2008–2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. 2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშის დანერგვით. ამიტომ კომპანია თითოეული საწარმოს საგადასახადო ვალდებულებებსა და მოთხოვნებთან დაკავშირებულ აქტივებს და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე წარმოადგენს.

ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები)

ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში შედგება მიმდინარე ანგარიშებისგან წამყვან კომერციულ ბანკებში. ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირდება კაპიტალის სახით. საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტებში.

დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიის გასანაწილებელი რეზერვები იზღუდება გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, როგორც წარმოდგენილია ფასს-ების შესაბამისად მომზადებულ კომპანიის კანონმდებლობით დადგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას კომპანია აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი სამუშაო ვალუტის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის სამუშაო ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. ყველა სხვაობა აღიარებულია მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

უცხოური ვალუტა (გაგრძელება)

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი გარიგებების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

ამონაგების აღიარება

კომპანია შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ მომსახურებაზე "კონტროლი" მომხმარებელს გადაეცემა.

კომპანია შემოსავალს აგენერირებს კომერციულ ბანკთან დადებული შემდეგი სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებისას:

საბონუსე შემოსავალი

საბონუსე შემოსავალი მოიცავს ბანკისათვის კლიენტების (უცხო ქვეყნის მოქალაქეების) მოძიებას, რომელიც აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, მაშინ როცა ხდება მოცემულ მომსახურებასთან დაკავშირებული კონტროლის მომხმარებლისთვის გადაცემა და კომპანიას გააჩნია მიმდინარე უფლება მომსახურებისთვის გადახდილი ანაზღაურების მიღებაზე. კონტროლის გადაცემა ძირითადად ხდება, როცა მომსახურება გადაეცემა მომხმარებელს და ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება.

საკომისიო შემოსავალი

საკომისიო შემოსავალი მოიცავს კომპანიის მიერ მოძიებული კლიენტებისთვის საბანკო პროდუქტებისა (გარდა საკრედიტო პროდუქტებისა) და მომსახურების შეთავაზებას, რომელიც აღიარდება დროთა განმავლობაში. კომპანია ბანკს საქონელსა და მომსახურებაზე კონტროლს დროთა განმავლობაში გადასცემს და, მაშასადამე, დროთა განმავლობაში ასრულებს შესასრულებელ ვალდებულებას და აღიარებს ამონაგებსაც. ბანკი იღებს და მყისიერად მოიხმარს მიღებულ სარგებელს, კომპანიის მხრიდან შესასრულებელი ვალდებულების შესრულებისთანავე. საკომისიო შემოსავლის დაანგარიშება ხდება ბანკის მიერ საშუალო კვარტალური ნაშთის საფუძველზე, რომელსაც კომპანიის მიერ მოძიებული კლიენტები განათავსებენ ბანკში. წინა კვარტალთან მიმართების საფასური ანაზღაურება ხდება არაუგვიანეს ყოველი კვარტალის ბოლო დღიდან 45-ე დღისა.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

იჯარის შეფასება და აღიარება

კომპანიამ გადაწყვიტა გამოიყენოს გათავისუფლების უფლება და მოკლევადიან იჯარასთან, ან დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებით დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღიაროს ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების ოდენობაზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს კრიტიკული მსჯელობები გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ, რომელთაც აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს დაშვებებთან და შეფასებებთან დაკავშირებული გაურკვევლობები, რომლებიც წარმოშობს არსებითი კორექტირების მნიშვნელოვან რისკს მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში.

6. ამონაგები

	29 მარტი 2023 (დაარსების თარიღი) - 31 დეკემბერი 2023
საბონუსე შემოსავალი	400,147
საკომისიო შემოსავალი	554,452
სულ ამონაგები	**954,599**

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება სამართლიან ღირებულებასთან იყო მიახლოებული მათი მოკლევადიანი დაფარვის ვადის გამო. კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებიდან მიღებულ ამონაგებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ნაშთი (სავაჭრო მოთხოვნა) 233,933 ლარს შეადგენდა. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 6,458 ლარის ოდენობით სხვა მოთხოვნები, ასევე წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში.

8. ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში

	შენიშვნა	**31 დეკემბერი 2023**
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში აშშ დოლარში	11	146,892
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში ევროში		1,022
სულ		**147,914**

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში მოიცავს წამყვან კომერციულ ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებს. მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებზე 2023 წლის 29 მარტიდან (დაარსების თარიღი) 2023 წლის 31 დეკემბრის პერიოდისთვის დაირიცხა და მიღებულ იქნა ფულადი ფორმით საპროცენტო შემოსავალი 5,507 ლარის ოდენობით.

9. საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ ოდენობას კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 343,794 ლარს, რომლის 100% -ის მფლობელია კონსტანტინე ოსიპოვი.

დივიდენდები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის დაგროვილი ზარალი შეადგენდა 145,836 ლარს. 2023 წლის 29 მარტიდან (დაარსების თარიღი) – 2023 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისათვის კომპანიას არ გამოუცხადებია დივიდენდი.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას კომპანიის მფლობელი ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის მისაღებად. კომპანია რეგულირდება „სებ“-ის მიერ და მარეგულირებლის მიერ დაწესებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის სტატუსის დეტალები მოცემულია ქვემოთ:

9. საკუთარი კაპიტალი (გაგრძელება)

შესაბამისობა ეროვნული ბანკის რეგულაციის მოთხოვნებთან

2023 წლის 13 ივნისის საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ") N275 განკარგულების საფუძველზე კომპანიამ მიიღო საბროკერო საქმიანობის ლიცენზია (შენიშვნა 1). 2023 წლის 2 ნოემბერს „სებ"-მა კომპანიას მისცა შესაბამისი მითითება, „სებ"-ის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის N145/04 ბრძანებით დამტკიცებული „საბროკერო კომპანიის ლიცენზირებისა და რეგულირების წესის" მე-8 მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტებით განსაზღვრულ კომპანიის კაპიტალის მოთხოვნის დარღვევასთან დაკავშირებით.

„სებ"-ის 2023 წლის 29 დეკემბრის - „N2-19/4849" გადაწყვეტილებით, „სებ-ის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 48-ე მუხლის მე-3 პუნქტის, ამავე კანონის 52-ე მუხლის „თ" ქვეპუნქტის, ასევე კანონის 551 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" და „ე" ქვეპუნქტების საფუძველზე კომპანიას აეკრძალა საბროკერო საქმიანობის ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობა მოთხოვნილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის დათქმულ ვადაში წარდგენამდე. კომპანიის მიერ „სებ"-ის მოთხოვნების არაჯეროვნად შესრულების საფუძველზე 2024 წლის 14 თებერვალის - „N2-19/440" გადაწყვეტილებით „სებ"-მა კომპანიის ლიცენზიის გაუქმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო.

2024 წლის 25 იანვრის, 14 თებერვლის და 3 აპრილის პარტნიორის გადაწყვეტილებით გაიზარდა საწესდებო კაპიტალი ჯამურად 382,000 ლარით, რომელიც სრულად შეტანილ იქნა კაპიტალში ფულადი ფორმით. შესაბამისად, 2024 წლის 12 აპრილის - „N2-19/1331" გადაწყვეტილებით, კომპანიის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაზე/დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, რომლითაც უზრუნველყოფილი და დადასტურებული იქნა შესაბამისი სალიცენზიო, კერძოდ კაპიტალთან დაკავშირებული მოთხოვნის შესრულება, „სებ"-მა მიმდინარე ეტაპზე აღარ გამოსცა ლიცენზიის გაუქმებასთან დაკავშირებით შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და კომპანიას აღუდგა საბროკერო ლიცენზიის ქვეშ საოპერაციო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება.

10. პირობითი ვალდებულებები

საკანონმდებლო მოთხოვნები

საქართველოს მარეგულირებელი და საგადასახადო კანონმდებლობა ზოგიერთ შემთხვევაში ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. ხელმძღვანელობის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომელის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო თუ მარეგულირებელ ორგანოთა მიერ, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი და ფინანსური მდგომარეობა შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური ვალდებულების რეზერვის აღიარება.

11. ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად კომპანია შემდეგი რისკების წინაშე დგას:

- საბაზრო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი;
- საკრედიტო რისკი;

რისკის მართვის სტრუქტურა

ხელმძღვანელობას აკისრია სრული პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დადგენასა და ზედამხედველობაზე.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის გაკონტროლებისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად გადაიხედება ბაზრის პირობებისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით.

11. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

სასწავლო და მართვის სტანდარტების და პროცედურების გამოყენებით კომპანიის მიზანს წარმოადგენს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, რომელშიც ყველა თანამშრომელს გააზრებული ექნება თავისი ფუნქცია და ვალდებულება.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლითი კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ფასების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი

კომპანია ექვემდებარება სავალუტო რისკს იმდენად რამდენადაც არსებობს შეუსაბამობა იმ ვალუტებს შორის, რომლებშიც დენომინირებულია ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში და გადასახდელი ხელფასები და კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტას შორის. კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი. ვალუტა, რომლებშიც ძირითადად დენომინირებულია და დაკმაყოფილებულია ეს ოპერაციები არის აშშ დოლარი, ევრო და შვეიცარიული ფრანკი.

სავალუტო რისკზე დაქვემდებარება

კომპანიის დაქვემდებარება უცხოურ სავალუტო რისკზე იყო შემდეგი:

31 დეკემბერი 2023		**აშშ დოლარში დენომინირებული**	**ევროში დენომინირებული**	**შვეიცარიულ ფრანკში დენომინირებული**
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში	8	146,892	1,022	-
გადასახდელი ხელფასები		(6,992)	-	-
სხვა ვალდებულებები		(2,573)	-	(58,315)
სულ		**137,327**	**1,022**	**(58,315)**

წლის განმავლობაში გამოიყენებოდა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

	საშუალო კურსი	**საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული კურსი 31 დეკემბერი**
	2023	**2023**
1 აშშ დოლარი	2.6279	2.6894
1 ევრო	2.8416	2.9753
1 შვეიცარული ფრანკი	2.9254	3.2085

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის კურსის გონივრული შესაძლო გამყარება/(გაუფასურება), ქვემოთ მითითებულის შესაბამისად, ყველა სხვა ვალუტასთან მიმართებაში 31 დეკემბრის მდგომარეობით იმოქმედებდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და ასევე იმოქმედებდა მოგებაზე ან ზარალზე ქვემოთ ნაჩვენები ოდენობებით. ანალიზი გაკეთდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩება და გამორიცხავს საპროგნოზო გაყიდვების და შესყიდვების ნებისმიერ გავლენას.

11. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

	გამყარება	**გაუფასურება**
	მოგება ან ზარალი	**მოგება ან ზარალი**
2023		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	(13,733)	13,733
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	(102)	102
შვეიცარული ფრანკი (10%-იანი მოძრაობა)	5,832	(5,832)

საპროცენტო რისკი

კომპანიაზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე საბაზრო საპროცენტო განაკვეთის დონეებში მომხდარი ცვლილებები, თუმცა კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტები მხოლოდ ფიქსირებულ პროცენტიანია, შესაბამისად საპროცენტო რისკი ამჟამად არ ახდენს გავლენას კომპანიაზე.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება. კომპანიის პოლიტიკა ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, მდგომარეობს იმის უზრუნველყოფაში, რომ ყოველთვის ჰქონდეს სათანადო ლიკვიდურობა მისი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად მათი დაფარვის ვადის დადგომისას, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ გარემოებებში, მიუღებელი ზარალის გაწევის ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლიკვიდურობის რისკი ფინანსური ვალდებულებების დასაფარად წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31 დეკემბერი, 2023	**1 წლამდე**	**სულ**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	240,391	**240,391**
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში	147,914	**147,914**
სულ ფინანსური აქტივები	**388,305**	**388,305**
სხვა ვალდებულებები	(62,396)	**(62,396)**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**(62,396)**	**(62,396)**
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	**325,909**	**325,909**

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიას მიეყენოს ზარალი, რადგან მისმა კლიენტებმა ვერ შეასრულეს თავიანთი სახელშეკრულებო ვალდებულებები. კომპანია მართავს და აკონტროლებს მის მიერ აღებულ საკრედიტო რისკს კონტრაგენტებთან ან კონტრაგენტთა ჯგუფებთან მიმართებაში მიღებული რისკის ოდენობის ლიმიტების დაწესებით. ასეთი რისკების მონიტორინგი ხდება უწყვეტ რეჟიმში და ექვემდებარება ყოველწლიურ ან უფრო ხშირ განხილვას.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ ფლობს საკრედიტო რისკის მქონე სხვა მნიშვნელოვან ფინანსურ აქტივებს, გარდა შემდეგისა:

- ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში: 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 147,914 ლარის ოდენობით განთავსებული იყო წამყვან კომერციულ ბანკებში, რომლებსაც „Fitch"–ის სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვს მოკლევადიანი შეფასება Bs.
- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (მე-7 შენიშვნა).

12. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ,ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

ა) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.

ბ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

გ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

დ) მნიშვნელოვანი გავლენის მქონე პირების ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (გ)-ში;

ე) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (გ) ან (დ)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

ვ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

კომპანიის ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარომდგენილია ქვემოთ.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ხელმძღვანელთა მთავარი რგოლის ანაზღაურება:

	29 მარტი 2023 (დაარსების თარიღი) - 31 დეკემბერი 2023
უმაღლესი ხელმძღვანელობის ხელფასი და სხვა განაცემი	57,443

ოპერაციები მფლობელთან

29 მარტი 2023 (დაარსების თარიღი) - 31 დეკემბერი 2023 პერიოდისთვის, პარტნიორის გადაწყვეტილებით გაიზარდა საწესდებო კაპიტალი 343,794 ლარამდე (შენიშვნა 9) რომელიც სრულად შეტანილ იქნა კაპიტალში ფულადი ფორმით.

13. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ თანხის მიახლოებით დასადგენად, რომელზეც შეიძლება გაიცვალოს ფინანსური ინსტრუმენტი მხარეებს შორის „გაშლილი ხელის“ პრინციპით შემდგარი გარიგების დროს. თუმცა, განუსაზღვრელობებისა და სუბიექტური განსჯის გამოყენების გამო, არ უნდა ჩაითვალოს, რომ სამართლიანი ღირებულება დაუყოვნებლივ არის რეალიზებადი აქტივების გაყიდვისა და ვალდებულებების დაფარვისას.

კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების ანალიზი შემდეგია:

		2023 წლის 31 დეკემბერი	
	დონე	**საბალანსო ღირებულება**	**სამართლიანი ღირებულება**
ფინანსური აქტივები			
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში	1–ლი დონე	147,914	147,914
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	მე–2 დონე	240,391	240,391
ფინანსური ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები	მე–2 დონე	62,396	62,396

13. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება (გაგრძელება)

- სავაჭრო და სხვა მოთხოვნების, ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების და სხვა ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას იყო მიახლოებული, რაც ამ ინსტრუმენტების მოკლევადიანი დაფარვის ვადით იყო გამოწვეული.

14. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კაპიტალის შევსება

2023 წლის 31 დეკემბრის შემდგომ, პარტნიორის გადაწყვეტილებით გაიზარდა საწესდებო კაპიტალი 382,000 ლარით, რომელიც სრულად შეტანილ იქნა კაპიტალში ფულადი ფორმით (შენიშვნა 9).